ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებითნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის შესახებხელშეკრულება №/12/9/244

ქ. თბილისი 19/12/2012წელი

ერთის მხრივ, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ ს/კ 404391136 (შემდგომში-„მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის იოსებ ქარსელაძის სახით და, მეორეს მხრივ, ააიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი(შემდგომში-„შემსყიდველი ორგანიზაცია“) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ზაზა აბულაძს სახით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდგეზე:

1. *ხელშეკრულების საგანი:* ტალონური სისტემით საწვავის ბენზინის (პრემიუმი-95), (რეგულარი-92) ნასყიდობა.

2. *მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედით:* წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში „შემსყიდველი ორგანიზაცია“ შეისყიდის შემდეგი რაოდენობის საწვავს;

ბენზინი (პრემიუმი-95) - 650 ლიტრი.

ბენზინი (რეგულარი-92) – 350 ლიტრი.

3. *ხელშეკრულების საერთო ღირებულება:* 2071 (ორი ათას სამოცდათერთმეტი) ლარი დღგ-ს ჩათვლით. ფასი მოცემულია ფასდაკლების გათვალისწინებით.
4. „შემსყიდველი ორგანიზაციის“ მიერ საწვავის ფასის გადახდა ხდება წინასწარ. „მიმწოდებლის“ მიერ „შემსყიდველი ორგანიზაციისათვის“ საწვავის ტალონების გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, გასატანი საწვავის ფასის სრულად გადახდიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში.
5. საწვავის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001-ს შესაბამისად.
6. ხელშკრულების მოქმედების ვადა: წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით.
7. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ და „მიმწოდებელი“ ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებისა და „მიმწოდებლის“ საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

8. მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ „შემსყიდველ ორგანიზაციაზე“ გადადის ტალონების დაზიანების, განადგურების და დაკარგვის რისკი, „მიმწოდებელი“ თავისუფლდება ტალონების გამოცვლის, ან დაკარგვით გამოწვეული რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან. „შემსყიდველ ორგანიზაციაზე“ გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან სხვა სახეობის ტალონებზე გადაცვლას; ტალონით საწვავის გაცემისას დაუშვებელია ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონის ნაწილობრივი განაღდება.
9. წინამდებარე „ხელშეკრულება“ შედგენილია სამ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა „შემსყიდველ ორგანიზაციას“, ხოლო ერთი „მიმწოდებელს“.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი ორგანიზაცია“

ააიპ – საქართველოსშოთარუსთაველისთეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციოკოდი: 203851028
მისამართი: თბილისი, რუსთაველისგამზ. N19
ბანკი: სსვითიბიბანკიჯორჯია
ბანკისკოდი (მფო): UGEBGE22
ანგარიშის N:GE92 VT66 0000 5577 003 08

ზ. აბულაძე

„მიმწოდებელი“

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოსრაიონი, ჭავჭავაძისგამზ., #34, სართ. #6
საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“-ს ც/ფ
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის # GE62BG0000000876831000
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“-ს ც/ფ
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიში # GE05TB7538836020100001

ი. ქარსელაძე